ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

23 აპრილი, შაბათი, 1988 წ.
№ 79 (9746) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**22 აპრილს მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნა ვ. ი. ლენინის დაბადების 118 წლისთავი.**

**დაე, მარად ცოცხლობდეს და ვითარდებოდეს მარქს-ენგელს-ლენინის დიადი რევოლუციური მოძღვრება!**

*სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.*



ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი

## ხინჩიგაშვილი, გაბედავა და ვალიევი

**დამასკოში** (სირია) ჩატარდა თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სხვა ქვეყნების ათლეტებთან ერთად მონაწილეობდნენ საბჭოთა სპორტსმენებიც. ჩვენი ქვეყნის ნაკრებში შეყვანილი. იყო სამი ქართველი მოჭიდავე — ევროპის შარშანდელი ჩემპიონები გიორგი ხინჩიგაშვილი (68 კგ, გორი, პროფკავშირების სპორტსაზოგადოება), აკაკი გაბედავა (82 კგ, სამტრედია, პროფკავშირების სპორტსაზოგადოება) და ჭაბუკთა შარშანდელი საკავშირო პირველობის მეორე პრიზიორი მერაბ ვალიევი (მძიმე. თბილისი, „შრომითი რეზერვები“).

საბჭოთა ნაკრებმა ბრწყინვალედ ჩაატარა ტურნირი. ათი წონითი კატეგორიიდან რვაში პირველი ადგილი საბჭოთა მოჭიდავეებმა დაისაკუთრეს. სამივე ქართველი ფალავანი გამარჯვებულთა შორის მოხვდა. ადგილობრივმა პრესამ ჩვენი სპორტსმენების გამოსვლას უმაღლესი შეფასება მისცა.

ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირებზე

## ლეილა მესხი წინ მიიწევს

**სინგაპურის** ღია ჩემპიონატში წარმატებით გამოდის თბილისელი ჩოგბურთელი ლეილა მესხი, რომელმაც მეორე ტურში იაპონელი აკემი ნისია დაამარცხა—6:2, 7:5. მეორე შეხვედრა მოიგო მოსკოველმა ნატალია ბიკოვამაც. მან ამერიკელ რობინ უაიტს აჯობა — 6:4, 7:6.

მესამე ტურში მესხმა მოუგო იაპონელ იანაკის — 6:4, 6:1, ბიკოვამ — ავსტრალიელ ვინტერს — 6:3, 2:6, 7:5.

**მონტე-კარლო.** აქ მიმდინარე ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის მესამე წრეში ანდრეი ჩესნოკოვი არგენტინელ მარტინ ხაიტთან დამარცხდა — 3:6, 2:6. წარუმატებლად ითამაშეს ამ წრეში შვედმა მატს ვილანდერმა და ჩეხოსლოვაკიელმა მარიან ვაიდამ. პირველს იტალიელმა კლაუდიო პისტოლეზიმ აჯობა (2:6, 7:6, 6:2), მეორეს — ფრანგმა ტიერი ტიულანმა (6:3, 6:1).

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, რომელიც ტრავმით იყო გამოწვეული, კორტს დაუბრუნდა მსოფლიოს პირველი ჩოგანი ივან ლენდლი. მან შვედი კრისტიან ბერგსტრიომი დაამარცხა 7:6, 7:5.



კარგა ხანს მიჩუმებულმა სტუდენტურმა სპორტმა კვლავ დაიწყო გამაცოცხლებს. ამ მიზნითა და მიმართულებით გადადგმული ახალი დიდი ნაბიჯია სტუდენტური „გიგანტური თამაშები“. საქართველოს სპორტულ ბაზებზე თამაშების პარალელურად უკვე მიმდინარეობს კარგა ხნის დაკანონებული ასპარეზობა — რესპუბლიკური უნივერსიადა, თუმცა ეს მნიშვნელოვანი გრძელვადიანი ტურნირი ოფიციალურად ოთხშაბათს; 20 აპრილს გაიხსნა. კიროვის პარკის კალათბურთის სტადიონის დარბაზში შეიკრიბნენ საქართველოს 19 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები — სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები. შეჯიბრების გახსნის საზეიმო ცერემონიალის შემდეგ მოეწყო სპორტსმენთა საჩვენებელი გამოსვლები, სულ ბოლოს კი ჩატარდა შეხვედრა კალათბურთში — საქართველოს ჩემპიონატის გამოტოვებული მატჩი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის გუნდებს შორის.

## „გიგანტურ თამაშებს“ მინიფეხბურთი აგვირგვინებს

**როგორც** „ლელოს“ მკითხველებმა იციან, წელს ჩვენს რესპუბლიკაში პირველად ტარდება „გიგანტური თამაშები“, რომელშიაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები და თანამშრომლები მონაწილეობენ. შეჯიბრებები უკვე გაიმართა კალათბურთში, ფრენბურთსა და ცურვაში. ხვალ თამაშების პროგრამით მინიფეხბურთში მოეწყობა შეხვედრები და ამით დამთავრდება ეს გრანდიოზული ასპარეზობა.

მინიფეხბურთში გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან დიღმისა და დიღმის საცხოვრებელი მასივის მიკრორაიონების ღია მოედნებზე. რამდენიმე მატჩი კი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში გაიმართება.

თამაშები დილის 10 საათიდან დაიწყება.

## ლიუბლიანის ტრადიციული

**ამჯერად** ეს შეჯიბრება დაემთხვა ლიუბლიანის ტანვარჯიშული საზოგადოების შექმნის 25-ე წლისთავს. სტარტზე გამოვიდნენ ავსტრიის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, იტალიის, კანადის, იუგოსლავიის (ქვეყნისა და. ლიუბლიანის ნაკრებები) და სსრ კავშირის (ბელორუსიისა და საქართველოს ნაკრებები) ტანმოვარჯიშეები. თითოეული გუნდიდან ვაჟთა და ქალთა შორის სამ-სამი მონაწილე გამოდიოდა.

როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის თბილისელი ტანმოვარჯიშეები მეხუთე ადგილზე გავიდნენ, პირველობა კი. შესაბამისად იუგოსლაველებმა და ბულგარელებმა მოიპოვეს. უნდა ითქვას, რომ ჩვენმა ვაჟებმა, რომლებიც ტურნირზე ყველაზე ახალგაზრდები იყვნენ, მხოლოდ 0,15 ქულა წააგეს მესამე პრიზიორთან — იტალიის გუნდთან.

პირად ჩათვლაში თბილისელმა ხვიჩა გაბიევმა მესამე შედეგი აჩვენა მრავალჭიდში — 55,75. გამარჯვება კი ლიუბლიანელმა კოლმან ლოიზემ მოიპოვა — 56,65. ხ. გაბიელმა თავი გამოიჩინა თავისუფალ ვარჯიშშიც, სადაც პირველობა არავის დაუთმო — 18,45. ასევე უძლიერესი იყო ტაიჭზე ჩვენი ნიკოლოზ ბარამიძე — 19,20.

**გოდერძი კაჭარავა,**
**თბილისელ ტანმოვარჯიშეთა დელეგაციის ხელმძღვანელი, ტანვარჯიშის სპორტული კომპლექსის დირექტორი.**

## ბერინგის სრუტეზე გადებული „ხიდი“

### ამერიკელი ლინ კოკსი და მისი თანამემამულე ქალები

**როგორ** მოგზაურობენ ადამიანები ქვეყნიდან ქვეყანაში? ეს რა გულუბრყვილო კითხვააო, იფიქრებს მკითხველი და პასუხი, რაღა თქმა უნდა, მზად ექნება: თვითმფრინავით, ავტომობილით, მატარებლით, გემით, ფეხით, ველოსიპედით... მაგრამ არიან თითზე ჩამოსათვლელი ადამიანები, რომლებიც ერთი ქვეყნიდან მეორემდე მანძილს ცურვით ფარავენ. ერთ-ერთი ასეთი გახლავთ ამერიკელი ლინ კოკსი, რომელმაც შარშან სენსაციური მოგზაურობა განახორციელა. იგი ამერიკის შეერთებული შტატებიდან... ცურვით მოვიდა საბჭოთა კავშირამდე. ლინმა ბერინგის სრუტეში, ამერიკის კუნძულ მალი დიომიდიდან ჩვენი ქვეყნის კუნძულ რატმანოვამდე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ოთხკილომეტრიანი ცოცხალი ხიდი გადო და ქვეყანა აალაპარაკა.

რა თქმა უნდა, ოთხი კილომეტრის გაცურვა არც ერთი მოცურავისათვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს, მით უმეტეს ისეთი ზემარათონელისთვის, როგორიც ლინ კოკსია, რომელსაც სხვა დროს ათობით კილომეტრი დაუფარავს. და მაინც, კოკსმა მთელი მსოფლიო გააოცა. ის ხომ 6-7-გრადუსიან წყალში ცურავდა. ჩვეულებრივ, ასეთი ტემპერატურის წყალში ადამიანი სულ რამდენიმე წუთს ძლებს, მერე კი იღუპება.

ამ რამდენიმე დღის წინათ ლინ კოკსი თანამემამულე ბობ უოლშთან ერთად თბილისს ეწვია.

უოლშის წარდგენა „ლელოს“ მკითხველებს არ სჭირდებათ. ის ხომ სიეტლის მომავალი კეთილი ნების თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტია. ლინ კოკსს

იხ. მე-4 გვ.

## რჩევა 2 ტური

**ბორჯომში** დასასრულს უახლოვდება 21 წლამდე ასაკის ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალური ტურნირი. გათამაშდა IX ტურის შეხვედრები. ლაშა ჯანჯღავამ შავებით ყაიმს მიაღწია ჩელიაბინსკელ ოსტატობის კანდიდატ რუსლან შჩერბაკოვთან.

ამ ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: სოროკინი-დრეევი — 0:1, კომაროვი-კამსკი — 1:0, სმირინი-ულიბინი — 0:1, ხენკინი-შიროვი — 0,5:0,5.

ამრიგად, 9 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: ალექსეი შიროვი — 6,5 ქულა (9 შესაძლებლიდან), ალექსანდრე დრეევი — 5,5 (8-დან), ვლადიმერ აკოფიანი — 5 (8-დან), მაქსიმ სოროკინი — 4,5 (9-დან).

ლაშა ჯანჯღავას 8 შესაძლებლიდან 3,5 ქულა აქვს.

**კალათბურთში საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი საჭირო და სახარგებლო ასპარეზობაა, ამას ყველა აღიარებს, მაგრამ თილავის სპორტის მესვეურები, და არა მარტო სპორტის მესვეურები, თურმე სხვაგვარად ფიქრობენ.**

იხ. მე-8 გვ.

## ელვა-ინფორმაცია

**სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდა სპორტსმენთა ტრადიციული შეჯიბრებების („დრუჟბა“) პროგრამით გამართულ მოფარიკავეთა ტურნირში, რომელიც ამჯერად რუმინეთში ჩატარდა, წარმატებას მიაღწიეს თბილისელმა სპორტსმენებმა. ხმლით ფარიკაობაში გუნდური მეორე ადგილი დაიკავა არჩილ ლორთქიფანიძემ (მწვრთნელები გურამ ლორთქიფანიძე და ტარიელ გოშაძე); რაპირისტთა შორის კი სსრ კავშირის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდა ოლეგ ჩერნიშოვი (მწვრთნელი ლუდვიგ ღალანიძე) — მესამე იყო.**

რეგბი

## ბევრად მეტი შანსი აქვთ

**დღეს ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება სამოყვარულო რეგბის საერთაშორისო ფედერაციის (ფირა) XXIII ჩემპიონატის (1987-89 წლები) „ა“ ჯგუფის პირველი წრის მატჩი საბჭოთა კავშირისა და ესპანეთის ნაკრებ გუნდებს შორის.**



ფირა-ს ჩემპიონატი, რომელიც პირველად 1963-64 წლებში ჩატარდა, ფაქტიურად, კონტინენტური ევროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების პირველობას წარმოადგენს. შემთხვევითი არაა, რომ ფირა-ზე ბევრად უფრო ავტორიტეტული რეგბის საერთაშორისო საბჭო (ირბ), რომელიც მხოლოდ რვა წევრს აერთიანებს და ვისი ინიციატივითაც იმართება მსოფლიო თასის გათამაშება, ალბათ სწორედ ფირა-ს ჩემპიონატის შედეგების მიხედვით შეარჩევს 1991 წლისათვის დაგეგმილი მეორე გათამაშების მონაწილეებს ევროპის კონტინენტიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან (ზემოთთქმული არ ეხებათ ფრანგებს, ვინაიდან ისინი, ფირა-ს გარდა, ირბ-ს სრულუფლებიანი წევრებიც არიან).

ჩვენი სტუმრები, ესპანელი რეგბისტები, ფირა-ს ჩემპიონატის „ა“ ჯგუფში უკვე მეთერთმეტედ ასპარეზობენ. მიუხედავად ამისა, მათი შედეგები საკმაოდ მოკრძალებულია. 1971-1979 წლებში, როცა ესპანეთის გუნდი ზედიზედ რვა სეზონის მანძილზე თამაშობდა უძლიერესთა კომპანიაში, მან მხოლოდ სამჯერ (1973, 1974, 1978 წლებში) შესძლო მესამე ადგილის დაკავება ამ შეჯიბრებაში. შემდეგ კი ესპანელებს სამჯერ მოუხდათ „ა“ ჯგუფის დატოვება.

საბჭოთა რეგბისტები ფირა-ს ჩემპიონატებში 1976 წლის შემოდგომაზე ჩაებნენ („ბ“ ჯგუფში), 1978-79 წლების სეზონიდან კი „ა“ ჯგუფის უცვლელი ბინადარნი არიან. ჩვენმა გუნდმა სამჯერ (1979, 1981 1983 წლებში) მესამე, ორჯერ (1985, 1987 წლებში) კი მეორე ადგილები დაიკავა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა ნაკრებმა გამართა 53 მატჩი, რომელთაგან 32 მოიგო, 2 ფრედ დაამთავრა, 19 წააგო.

საბჭოთა და ესპანელი რეგბისტები ფირა-ს ჩემპიონატებში მხოლოდ სამჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. ესპანელები სამჯერვე დამარცხდნენ და „ა“ ჯგუფიც დატოვეს. 1979 წლის 20 მაისს მოსკოვში საბჭოთა გუნდმა გაიმარჯვა ანგარიშით 15:9, 1981 წლის 10 მაისს (კიევში) — 40:7, 1985 წლის 1 მაისს სევილიაში გამართული მატჩი კვლავ ჩვენებმა მოიგეს — 15:9. ასე რომ, დღევანდელ შეხვედრაში საბჭოთა რეგბისტებს გამარჯვების ბევრად მეტი შანსი აქვთ, ვიდრე მათ მეტოქეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მფრინავ-კოსმონავტ გ. დობროვოლსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო შეჯიბრება ბატუტზე ხტომაში

# წარმატება ულიდეროდ

**შეჯიბრების** დაწყების წინ გაურკვეველი იყო, გამოვიდოდა თუ არა სარბიელზე საქართველოს ბატუტზე მხტომელთა ნაკრების ლიდერი რუსუდან ხოფერია (საქმე ისაა, რომ მას ჯერ კიდევ აწუხებს ადრე მიღებული ტრავმა). სპორტის მოყვარულებს ეს განსაკუთრებით აინტერესებდათ, რადგან ჩვენს დედაქალაქში საასპარეზოდ მსოფლიოში აღიარებული ბატუტისტები ჩამოვიდნენ. და აი, რუსუდანმა მაინც გადაწყვიტა გამოსვლა...

გ. დობროვოლსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი ასპარეზობა



ანა დოლონაძე და ლია ბენდიანიშვილი.

ორ ეტაპად ტარდება. პირველი ეტაპია საკავშირო, მეორე კი საერთაშორისო შეჯიბრებები. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტულმა კომპლექსმა ამჯერად პირველი ეტაპის მონაწილეებს უმასპინძლა. შეჯიბრებაში ჩაებნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ბატუტისტები, ისინი, ვინც წლევანდელ საკავშირო თასის გათამაშებაში ინდივიდუალურ ჩათვლაში I-XXXV, სინქრონულ ხტომებში კი I-IV ადგილები დაიკავეს. მათს გარდა საკავშირო სპორტკომიტეტის ნებართვით შეჯიბრებაზე მოწვეული იყვნენ ცალკეული ძლიერი სპორტსმენები. თუ საკავშირო თასის გათამაშება გამარჯვებულ სპორტსმენს ათ ჩასათვლელ ქულას აძლევს, ამ შეჯიბრებაში გამარჯვება ორმაგად ფასდება. ძირითადად სწორედ ეს ქულები წყვეტს სპორტსმენის უფრო მაღალი რანგის შეჯიბრებებში მონაწილეობის საკითხს.

საქართველოს ნაკრებიდან, ცხადია, ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრების — რუსუდან ხოფერიას, ანა დოლონაძის, ლია ბენდიანიშვილის და მიხეილ პელვანიდისის გამოსვლა (ამ უკანასკნელს ავადმყოფობის გამო კარგა ხანია არ უვარჯიშია). საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებს შესაძლებლობა ეძლეოდათ შეემოწმებინათ გუნდის თითოეული წევრის მზადყოფნა მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელიც 14 მაისს დაიწყება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

...რუსუდან ხოფერიამ სავალდებულო პროგრამა საკმაოდ ადვილად დაძლია, თუმცა მის მოძრაობას ჩვეული დინამიკა აკლდა. ამ ვარჯიშში ქართველმა სპორტსმენმა მეხუთე ადგილი დაიკავა, თუმცა უკან ჩამოიტოვა ვორონეჟელი მსოფლიო ჩემპიონი ტატიანა ლუშინა.

პირველი ვარჯიშის შემდეგ დაწინაურდა მსოფლიო ჩემპიონი სინქრონულ ხტომებში ელენა მერკულოვა (ლენინგრადი). მას კვალში ჩაუდგა ევროპის ჩემპიონი ელენა კოლომეეცი (ნიკოლაევი). მომდევნო ადგილები დაიკავეს ანა დოლონაძემ და ლია ბენდიანიშვილმა. ნებისმიერი პროგრამა კვლავ წარმატებით შეასრულა მერკულოვამ. კოლომეეცმა და დოლონაძემ ადგილები გაცვალეს. რუსუდან ხოფერიას ტრავმამ თავი შეახსენა. მან პროგრამა ბოლომდე ვერ მიიყვანა და შეჯიბრებას გამოეთიშა.

ფინალურ ვარჯიშში დოლონაძე კოლომეეცის წინ გამოდიოდა. მან თითქმის უშეცდომოდ შეასრულა ვარჯიში ყველაზე მაღალი — 9,9 სირთულის კოეფიციენტით. როგორც ჩანს, ანას მაღალმა ქულებმა და თავდაჯერებამ უარყოფითად იმოქმედა მერკულოვაზე. იგი ზედმეტად აღელდა და საბოლოოდ მესამე ადგილზე მყოფ კოლომეეცსაც კი ჩამორჩა. პირველი ადგილი დამსახურებულად მოიპოვა შეჯიბრების დებიუტანტმა ანა დოლონაძემ, რაც ამ მზარდი სპორტსმენის ნიჭიერებაზე მეტყველებს. ამ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთაგან დღემდე მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა რუსუდან ხოფერიამ, რომელმაც შარშანდელი ასპარეზობა მოიგო. აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ შარშან სინქრონულ ხტომებში რუსუდანმა მეორე ადგილი დაიკავა ირინა სლონოვასთან ერთად. და აი, თბილისში ანამ თავისი თანაგუნდელის ეს მიღწევაც გაიმეორა, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად „წყვილი“ ქართული იყო —დოლონაძე—ბენდიანიშვილი. თბილისელმა ბატუტისტებმა პირველი ადგილი თავისზე ორი წლით უფროსებს, მსოფლიო ჩემპიონებს ლუშინასა და მერკულოვას დაუთმეს.

რაც შეეხება ვაჟთა შეჯიბრებას, წინასწარ ვიცოდით, რომ გარკვეული მიზეზების გამო ჩვენი მხტომელები მაღალი ადგილებისთვის ბრძოლას ვერ შეძლებდნენ. თანაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გუნდის ლიდერი მიხეილ პელივანიდისი სათანადო სპორტულ ფორმაში არ იყო. მიუხედავად ამისა, იგი ინდივიდუალური შეჯიბრების ფინალში მოხვდა და VII ადგილიც დაიკავა. დანარჩენი მონაწილენი — ზაზა აბრამიშვილი, არაკ საakiანი და მერაბ სუპატაშვილი შესაბამისად XIV-XXV და XXXV ადგილებზე გავიდნენ.

ინდივიდუალურ ხტომებში გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონმა, ტაშკენტელმა დიმიტრი პალიარუშმა. მეორე ადგილზე გავიდა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების მესამე პრიზიორი, კიეველი იგორ გელიმბატოვსკი. მას ერთი მეათედი ქულით ჩამორჩა თანაქალაქელი სერგეი ნესტრელიაი.

სინქრონულ ხტომებში, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობა არავის დაუთმეს მსოფლიოსა და ევროპის ექს-ჩემპიონებმა — გელიმბატოვსკიმ და ნესტრელიაიმ. კვარცხლბეკის მეორე საფეხური დაიკავეს ტყუპმა ძმებმა — იური და ვიაჩესლავ მოროზოვებმა (ბელორუსია), მესამე ადგილი ოდესელებს იგორ გნებსა და სერგეი ტიაბუსს ხვდათ წილად.

მიხეილ პელივანიდისი და ნიკოლაეველი ნიკოლაი ბუხოდცევი, როგორც საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები, ერთად გამოვიდნენ, მაგრამ ფინალს მიღმა დარჩნენ.

სინქრონულ ხტომებში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ზაზა აბრამიშვილმა და არამ საakiანმა IV ადგილი დაიკავეს, თუმცალა შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ რუსუდან ხოფერია საპატიო მიზეზით შეჯიბრებას გამოეთიშა, ანალოგიურ შეჯიბრებაში ასეთი წარმატებისთვის ჩვენს ბატუტისტებს არასოდეს მიუღწევიათ. ეს, ცხადია, საქართველოს ნაკრების მწვრთნელების თენგიზ ჭუდოევის, ზაურ სულაშვილის და ევრაპიდ გალჩევის დიდი დამსახურებაა.

საბჭოთა კავშირის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში რუსუდან ხოფერია და ანა დოლონაძეც არიან, მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების წინ ბათუმში გაივლის შეკრებას. ლია ბენდიანიშვილი და მიხეილ პელივანიდისი (მათ შეუერთდებიან რუსუდან ხოფერია და ანა დოლონაძე) მოგვიანებით ოდესაში ჩავლენ, სადაც 30 მაისს გაიმართება მფრინავ-კოსმონავტ დობროვოლსკისადმი მიძღვნილი საერთაშორისო შეჯიბრება.

**ჯემალ ქახრაძე.**
ავტორის ფოტო.

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

რედაქციას უპასუხებს თბილისის ლენინის რაიონის ალმასკომი

„ლელოს“ 23 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი წერილის „ახალი მიწის“ პასუხად, რომელიც გვაზაურის ქუჩის IV კორპუსის ტერიტორიაზე სპორტული მოედნის მშენებლობის გაჭიანურების ფაქტს შეეხებოდა, გაცნობებთ: ლენინის რაისაბჭოს ალმასკომმა საკითხი შეისწავლა და 16 მარტის სხდომაზე № 444 გადაწყვეტილებით დაავალა კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ხელმძღვანელობას მიიღოს გადაუდებელი ზომები სპორტული მოედნის მშენებლობის სამუშაოების დაჩქარებისთვის.

ამჟამად მოედნის მშენებლობა მიმდინარეობს და მისი დამთავრება გათვალისწინებულია 18 აპრილამდე.

**ბ. ოყროშიძე,**
ალმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი“.



**რედაქციისაგან:** როგორც ჩანს, ტყუილად არ ყოფილა ნათქვამი, ენდე, მაგრამ შეამოწმეო. გუშინ დასახელებულ სპორტულ მოედანს ვესტუმრეთ, რათა ფირზე აღგვებეჭდა კეთილმოწყობილი სარბიელი, მაგრამ, სამწუხაროდ, იმედი გაგვიცრუვდა. დამთავრებული მოედნის მაგივრად აი, ასეთი სურათი ვნახეთ.

ჩვენი ეს პატარა მინაწერი ანდაზით დავიწყეთ და კვლავ შეგონებით გვინდა დავამთავროთ: სანამ არ გადახტები, „ჰოპ“ არ დაიძახოო!

# ოსტატდებიან...

**ქუთაისელ** ბიჭუნებს ძიუდოშიც ჰყავთ თავიანთი კერპები. აკაკი კიბორძალიძის, ავთანდილ გუბელაძისა და, განსაკუთრებით დავით ხახალეიშვილის ბოლოდროინდელი მიღწევების შემდეგ მათ უფრო მეტი ძალით იზიდავს ტატამი. ასეთი პოპულარობა, ბუნებრივია, სპორტის ამა თუ იმ სახეობის აღმავლობის უპირველესი პირობაა.. ასეა რიონისპირა ქალაქში, სადაც ძიუდოს სექციებში მრავალი ნორჩი ფალავანი ეუფლება ჭიდაობის ამ უძველეს სახეობას და საკმაოდ წარმატებითაც ასპარეზობს რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებზე. ეს კი მათი დაოსტატების საუკეთესო საშუალებაა..

ქუთაისის განათლების განყოფილების და პროფკავშირების სპორტსაზოგადოების საქალაქო საბჭოს ჭიდაობის სპორტსკოლების ნაკრებმა გუნდებმა ამ დღეებში მონაწილეობა მიიღეს ქ. ელეცში ჩატარებულ ტრადიციულ საკავშირო ტურნირში, რომელიც სსრ კავშირის გმირის მ. კარიუშკინის ხსოვნას ეძღვნება.

ტატამზე 1974-1975 წლებში დაბადებული ძიუდოისტები გამოვიდნენ. კარგად იასპარეზეს ნორჩმა ქუთათურმა სპორტსმენებმა, მათ ორი პირველი, სამი მეორე და ექვსი მესამე ადგილი დაიკავეს.

49 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ხუთივე ორთაბრძოლა ვადამდე მოიგო I საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ ნოშრევან ჯავახაძემ და პირველი ადგილი მოიპოვა. თანაგუნდელს არც სოფელ მაღლაკის საშუალო სკოლის მოსწავლე მალხაზ ლექვინაძე ჩამორჩა და I ხარისხის სიგელი დაიმსახურა.

მეორე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ კ. ხარაბაძე, კ. წიქორიძე და ნ. გოდერიძე. მესამეზე — ვ. ბუაჩიძე, გ. რიკამაძე, გ. ხუბულავა, მ. მაღლაფერიძე, მ. სამსონია და დ. ქიმმარეიშვილი. მართალია, დ. ბუილლიშვილი საპრიზო ადგილზე ვერ გავიდა, მაგრამ მან ყველაზე ტექნიკური მოჭიდავისათვის დაწესებული პრიზი დაისაკუთრა.

ქუთაისის განათლების განყოფილების ნაკრები შეჯიბრებისათვის მოამზადეს საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა ო. მერაბიშვილმა, ვ. ბალხამიშვილმა, ა. მამრიკიშვილმა, ხოლო პროფკავშირების გუნდი — გ. მელიქიშვილმა და ვ. გაბუნიამ.

**თამაზ კოლხიდელი.**
(„ლელოს“ საკ. კორ.).

## ბათუმში — მცირე ჩოგნით

**ბათუმში** გაიმართა საქართველოს პირველობა მაგიდის ჩოგბურთში 1978 წელს დაბადებულ გოგონებსა და ჭაბუკებს შორის.

ერთეულთა თანრიგში გოგონათა შორის ბათუმელმა მადლენა ყლენტმა, ჭაბუკებში კი ცხინვალელმა მაქსიმ ვედმედერიამ გაიმარჯვა.

გოგონათა წყვილებში საუკეთესო იყო მ. ყლენტისა და ცხინვალელი ანჟელა ტატაევას დუეტი. ჭაბუკთა შორის ჩემპიონები გახდნენ მ. ვედმედერია და თბილისელი ა. იმერლიშვილი. შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში უძლიერესი იყო ცხინვალელთა დუეტი ვედმედერია—ტატაევა.

უნდა აღინიშნოს, ამ შეჯიბრებაში სამხრეთ ოსეთის ნორჩ მაგიდის ჩოგბურთელთა კარგი გამოსვლა. გ. ვედმედერია ხომ აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. ეს კი სამხრეთ ოსეთში სპორტის ამ სახეობის აღმავლობაზე მეტყველებს.

**ლევან ქავჟარაძე,**
„ლელოს“ კორ.
ბათუმი.

# შეელევა ჩოგბურთს?

**ცამეტი** წლის თბილისელ მოსწავლეს დათო ოძელაშვილს მუსიკალურ წრეებში ნიჭიერ, იმედის მომცემ ფლეიტისტად იცნობენ, რასაც საგაზეთო რეცენზიები მოწმობს. აი, კერძოდ, რას წერდა „ახალგაზრდა კომუნისტი“:

„თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა საფლეიტო მუსიკის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის გნესინების სახელობის სპეციალური სამუსიკო სკოლის მეათეკლასელი ოლგა ივუშეიკოვა და თბილისის 62-ე საშუალო სკოლის მეოთხეკლასელი დათო ოძელაშვილი“.

ორი ფლეიტისტი ბავშვის შემოქმედებით შეხვედრას მუსიკის მოყვარულთა და სპეციალისტთა საერთო მოწონება და აღიარება ხვდა წილად. ამის შესახებ დაწვრილებით წერდა სტატიის ავტორი, რომელსაც, სხვათა შორის, არც ის დავიწყებია, რომ დათოს არანაკლებ იტაცებს ჩოგბურთიც. წერილი შემდეგი სიტყვებით მთავრდება:

„სანამ ჩოგბურთი შველის და ეხმარება დათოს ფლეიტის დაკვრის სრულყოფაში, — გვითხრა დათოს პედაგოგმა ნოდარ ხოფერიამ, — მანამდე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, ხოლო როცა ხელს შეუშლის, თუნდაც დროის თვალსაზრისით, მაშინ ალბათ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მუსიკოსი ჩოგბურთს მიატოვებს“...

როგორც ხედავთ, პედაგოგი მშვიდად არის, რადგან ეს ალტერნატივა, რომლის წინაშეც დათო აღმოჩნდება, მისი აზრით, ჯერ შორსაა. ამასობაში კი დათო კორტებზე ზედიზედ აღწევს წარმატებას. სულ ახლახან საბჭოთა კავშირის გმირ ვახტანგ ლექავას მემორიალურ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულმა საგაზაფხულო არდადეგების დღეებში ერევნის კორტზე, ოლიმპიური რეზერვების ბავშვთა სკოლების საკავშირო ტურნირში ისახელა თავი და პირველობა არავის დაუთმო. ამ დღეებში კი საბჭოთა კავშირის გმირ ა. ბოგდანოვის მესამე საკავშირო მემორიალში, რომელიც სიმფეროპოლში გაიმართა, თბილისელმა მოსწავლემ საპატიო მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.



ასე რომ, ვინ იცის, გაცვლის დათო ჩოგანს ფლეიტაზე?..

## „არგომ“ იპოვა პატრონი

**ამ** ბოლო დროს ვანის რაიონში დიდი ყურადღება ეთმობა ჭადრაკის განვითარებას. საჭადრაკო კლუბისა და სკოლის (დირექტორი — ოსტატი გურამ მაჭავარიანი) თაოსნობით აქ ბევრ კარგ ღონისძიებას ჩაეყარა საფუძველი, სისტემატურად ეწყობა საკავშირო თუ რესპუბლიკური დონის საჭადრაკო ფესტივალები. სულ ახლახან აქ კიდევ ერთ შეჯიბრებას ჩაეყარა საფუძველი — გაიმართა რაიონის საშუალო სკოლების პიონერრაზმებისა და რაზმეულების პირველობა, ხოლო შემდეგ გამარჯვებულმა კოლექტივებმა სასწავლებლების გუნდური პირველობისთვის გააჩაღეს ბრძოლა.

თორმეტი გუნდი ორ ჯგუფად დაიყო, ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ვანის კიროვის სახელობისა და გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სკოლების გუნდები. გამარჯვება და პრიზი „არგო“ კიროვის საშუალო სკოლის ნაკრებმა მოიპოვა. საუკეთესო შედეგი — 7-დან 7 ქულა გამარჯვებული გუნდის კაპიტანმა თამაზ ფახურიძემ აჩვენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის საკლუბო ტურნირები

# ფინალისტები გამოვლინდნენ

განვლილ ოთხშაბათს გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების საპასუხო ნახევარფინალური მატჩები.

**მადრიდის** „რეალს" ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ძალზე ძნელი მეტოქეები ჰყავდა, მან წარმატებით განვლო რთული ეტაპები და ნახევარფინალს მიაღწია, აქ კი „რეალის" მეტოქე იყო ჰოლანდიის „ეინდჰოვენი". პირველ მატჩში „რეალმა" შინ ფრეს მიაღწია (1:1) და ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა საპასუხო მატჩს ჰოლანდიელთა მინდორზე. მასპინძლებმა შეძლეს კვლავ ფრედ დაემთავრებინათ მატჩი (0:0) და მადრიდის სანტიაგო ბერნაბეუს სტადიონზე გატანილმა ბურთმა „ეინდჰოვენს" ფინალში გასვლის საგზური მოუტანა.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში „ეინდჰოვენი" პირველად მონაწილეობს. საპასუხო მატჩის დამთავრების შემდეგ გუნდის მწვრთნელმა გ. ჰიდინგსმა განაცხადა:

— თავს უფლებას ვაძლევ განვაცხადო, რომ ჰოლანდიაში ფეხბურთი ახლა აღორძინების გზაზეა, ჩვენი გუნდების რიგებში გამოჩნდნენ ფრიად პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელები, ჰოლანდიის ეროვნული ნაკრები ისეთი ძალისაა, რომ შეუძლია მომავალ ევროპის ჩემპიონატზე ოქროს მედლებისთვის იბრძოლოს.

ლისაბონის სტადიონზე თავმოყრილი 120 ათასი მაყურებელი მხურვალედ მიეგება თავის გუნდს „ბენფიკას", რომელმაც მაღალ დონეზე ჩაატარა მატჩი რუმინეთის „სტიაუასთან". ლისაბონელებმა ეს შეხვედრა დამაჯერებლად მოიგეს — 2:0.

**თასების მფლობელთა თასზე** ჰოლანდიის „აიაქსს" პირველი მატჩი საფრანგეთის „მარსელთან" სტუმრად ანგარიშით 3:0 ჰქონდა მოგებული. მართალია, „აიაქსი" საპასუხო მატჩში შინ დამარცხდა — 1:2, მაგრამ ფინალში თამაშის უფლება შეინარჩუნა.

იტალიის „ატალანტამ" ვერაფერი გააწყო ბელგიის „მეხელენთან", წააგო სტუმრადაც (1:2), წააგო შინაც (1:2) და ფინალში ბელგიელი ფეხბურთელები გავიდნენ.

**უეფა-ს თასზე** ესპანეთის „ესპანიოლმა" შინ დამატებით დროში ანგარიშით 3:0 მოუგო ბელგიის „ბრიუგეს", ფინალში იგი შეხვდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ბაიერს", რომელმაც თავისი ქვეყნის „ვერდერს" შინ მოუგო ანგარიშით 1:0, სტუმრად კი ფრედ დაამთავრა მატჩი — 0:0.

ევროპის საკლუბო ტურნირების ნახევარფინალის შედეგები ასეთია:

**ჩემპიონთა თასი**

**„ეინდჰოვენი" (ჰოლანდია)** — „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) 0:0 (1:1).

**„ბენფიკა" (პორტუგალია)** — „სტიაუა" (რუმინეთი) 2:0 (0:0).

**თასების მფლობელთა თასი**

**„აიაქსი" (ჰოლანდია)** — „მარსელი" (საფრანგეთი) 1:2 (3:0).

„ატალანტა" (იტალია) — **„მეხელენი" (ბელგია)** 1:2 (1:2).

**უეფა-ს თასი**

**„ესპანიოლი" (ესპანეთი)** — „ბრიუგე" (ბელგია) 3:0 დამატებით დროში (0:2).

„ვერდერი" (გფრ) — **„ბაიერი" (გფრ)** 0:0 (0:1).

**შენიშვნა:** ფრჩხილებში აღნიშნულია პირველ შეხვედრათა შედეგები.

**ამგვარად, ფინალში ითამაშებენ:**

**ჩემპიონთა თასი.** 25 მაისი. **ქ. შტუტგარტი (გფრ).** „ეინდჰოვენი" (ჰოლანდია) — „ბენფიკა" (პორტუგალია).

**თასების მფლობელთა თასი.** 11 მაისი. **სტრასბურგი (საფრანგეთი).** „აიაქსი" (ჰოლანდია) — „მეხელენი" (ბელგია).

**უეფა-ს თასი.** მეტოქეები ერთმანეთს შეხვდებიან ორჯერ. 4 მაისს ისინი ითამაშებენ ბარსელონაში (ესპანეთი), ხოლო 18 მაისს — ლევერკუზენში (გფრ).

**ფეხბურთი**

## სსრ კავშირის ჩემპიონატი

21 აპრილს შედგა სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის VII ტურის მატჩები:

**„დინამო" კ. — „ტორპედო" 3:0**

**„შახტიორი" — „დნეპრი" 0:0**

**„ჩერნომორეცი" — „სპარტაკი" 0:1**

**„მეტალისტი" — „კაირატი" 1:1**

**„ზენიტი" — „ჟალგირისი" 1:2**

## სსრ კავშირის თასი

**სსრ კავშირის** ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ მოაწყო სსრ კავშირის თასის ნახევარფინალური მატჩების წილისყრა მასპინძელთა ვინაობის დასადგენად.

18 მაისს ნახევარფინალში პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე ერთმანეთს შეხვდებიან:

**„ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „მეტალისტი" (ხარკოვი), „ტორპედო" (მოსკოვი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი).**

I ლიგა

## მიმართავენ მკაცრ ზომებს

**I ლიგის** ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების IV ტურში საქართველოს გუნდებმა ლანჩხუთის „გურიამ" და ბათუმის „დინამომ" სტუმრად მარცხი იწვნიეს. ორივე ჩვენი გუნდი ამჟამად ძალზე სუსტად გამოდის საკავშირო ასპარეზზე, „გურიას" მხოლოდ 2 ქულა აქვს, ხოლო ბათუმის დინამოელებმა ოთხივე შეხვედრა წააგეს.

ამას, სამწუხაროდ, ემატება ჩვენი ფეხბურთელების უდისციპლინობაც. სტავროპოლის „დინამოსთან" შეხვედრაში გააფრთხილეს „გურიის" ფეხბურთელი გოგრიჭიანი, ხოლო ორჯონიკიძის „სპარტაკისა" და ბათუმის „დინამოს" მატჩში გააფრთხილეს ერთბაშად ოთხი ბათუმელი ფეხბურთელი — ათუაშვილი, მაისურაძე, მაჭუტაძე და თორლაშვილი.

ცხადია, ჩვენს გუნდებში წესრიგის დასამყარებლად საგანგებო ზომებს უნდა მიმართონ ლანჩხუთშიც და ბათუმშიც.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ბათუმის „დინამოს" მცველი გ. ჩიქოვანი ერთ-ერთ მატჩში გაძევებული იყო მინდვრიდან და საკავშირო ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ მას 3 მატჩით გამოუტანა დისკვალიფიკაცია.

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

გთავაზობთ კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის 16 და 17 აპრილს გამართულ შეხვედრათა შედეგებს.

**16 აპრილი. რუსთავი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 65:74 (20:42).**

**რუსთავი:** ქობულაძე (21), ჭანტურიძე (17), კეჭაყმაძე (13), კიკვიძე (9), მიქიაშვილი (5).

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი:** გოგელია (20), გეგეშიძე (17), ცხვედიანი (11), პეტრიაშვილი (8), გაბრიჩიძე (7), ორმოცაძე (6), დაუშვილი (5).

**17 აპრილი. რუსთავი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 68:87 (31:41).**

**რუსთავი:** კიკვიძე (19), ქობულაძე (17), ჭანტურიძე (16), კეჭაყმაძე (9), მიქიაშვილი (7).

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი:** გეგეშიძე (36), გაბრიჩიძე (17), ცხვედიანი (14), პეტრიაშვილი (7), ორმოცაძე (5), გოგელია (4), კოტრიკაძე (4).

**16 აპრილი. „მართვე" (თბილისი) — სოხუმი 87:86 (46:40).**

**„მართვე":** უსტიაშვილი (36), ვაშაკიძე (23), კორძაძე (17), ბაქრაძე (6), კვეზერელი (2), კოპალეიშვილი (2), გვარამია (1).

**სოხუმი:** სულავა (21), ჯგერენაია (17), ზაკუა (17), ჭითავა (12), გაფრინდაშვილი (10), სუშჩენკო (8), ჩუბინიძე (1).

**17 აპრილი. „მართვე" (თბილისი) — სოხუმი 65:84 (30:44).**

**„მართვე":** კორძაძე (17), უსტიაშვილი (11), ბაქრაძე (8), საკანდელიძე (8), ნიკურაძე (8), გვარამია (7), ბოლქვაძე (6).

**სოხუმი:** ჯგერენაია (48), სუშჩენკო (14), სულავა (12), ჩუბინიძე (5), ზაკუა (3), პირველი (2).

**16 აპრილი. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — ბათუმი 104:73 (53:38).**

**ფიზკულტურის ინსტიტუტი:** უძილაური (27), კობეშავიძე (20), ლიპარტელიანი (18), დადიანი (13), კაპუსტინი (12), დათიკაშვილი (7), მაისურაძე (5), მოველიძე (2).

**ბათუმი:** მ. ემირიძე (36), დიხამიძე (14), შერვაშიძე (8), ბარამიძე (4), ქღენტი (4), გ. ემირიძე (4), ზოიძე (3).

**17 აპრილი. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — ბათუმი 96:98 (35:47, 89:89).**

**ფიზკულტურის ინსტიტუტი:** უძილაური (22), დადიანი (20), ლიპარტელიანი (17), კობეშავიძე (16), დათიკაშვილი (8), შავლოხოვი (5), მაისურაძე (5), მოველიძე (3).

**ბათუმი:** შერვაშიძე (35), მ. ემირიძე (34), დიხამიძე (11), გ. ემირიძე (8), ბარამიძე (3), ქღენტი (2).



კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გაიმართა რესპუბლიკური ჩემპიონატის ორი გამოტოვებული შეხვედრა თბილისის უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდებს შორის. გამარჯვება ორივეში უნივერსიტეტელებს დარჩათ — 100:97 (46:53) და 101:100 (50:57).

სურათზე: შეხვედრის მომენტი. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

**16 აპრილი. გორი — სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) 78:82 (31:47).**

**გორი:** ღლონტი (33), ცაგარეიშვილი (16), ქამუშაძე (13), სხიერელი (7), ზამთარაძე (3), კორძაია (1).

**უნივერსიტეტი:** ტალაბაძე (17), რევაზიშვილი (15), აბულაშვილი (13), ქურდოვანიძე (10), ქართველიშვილი (8), ტურაშვილი (7), ხუხაშვილი (5), სულხანიშვილი (5), ჯაფარიძე (2).

**17 აპრილი. გორი — სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) 76:78 (43:25, 69:69).**

**გორი:** ღლონტი (19), ქამუშაძე (18), კორძაია (9), სხიერელი (8), ზამთარაძე (8), ცაგარეიშვილი (7), ჯოლბორდი (7).

**უნივერსიტეტი:** აბულაშვილი (17), ახვლედიანი (16), ტალაბაძე (13), ქართველიშვილი (9), ჯაფარიძე (9), რევაზიშვილი (8), ქურდოვანიძე (2), ტურაშვილი (2), დვალი (2).

**16 აპრილი. ქუთაისი — „დინამო" (თბილისი) 90:58 (54:32).**

**ქუთაისი:** ხუჯაძე (14), ანდღულაძე (14), გუბელაძე (13), გოქსაძე (12), წულაძე (7), ბუაძე (7), ხაბულიანი (6), დოლაბერიძე (6), აფრიდონიძე (5), გუმბერიძე (4), კირთაძე (2).

**„დინამო":** ქორფაშვილი (23), გრძელიშვილი (15), კოკოლიშვილი (10), ცისკარიშვილი (4), კუტიბაშვილი (2), ლომთაძე (2), იასაშვილი (2).

**17 აპრილი. ქუთაისი — „დინამო" (თბილისი) 127:93 (66:38).**

**ქუთაისი:** გოგსაძე (32), ხუჯაძე (22), აფრიდონიძე (15), წულაძე (15), ანდღულაძე (11), გუბელაძე (9), ხაბულიანი (9), გუმბერიძე (6), დოლაბერიძე (6), ბუაძე (2).

**„დინამო":** კოკოლიშვილი (30), ქორფაშვილი (27), გრძელიშვილი (17), იასაშვილი (7), ცისკარიშვილი (4), კუტიბაშვილი (4), ლომთაძე (2), ამაშუკელი (2).

# შენიანსაც ნუ დაივიწყებ...

**სპორტი** არ უყვართ თელავშიო, რომ ვთქვათ, ტყუილი გამოგვივა. თელავში სპორტიც უყვართ და თუ საჭიროებამ მოითხოვა, თავის გამოდებაც კარგა გვარიანად იციან. ოღონდ გააჩნია ვის უნდა აჩვენონ ეს სიყვარული, ვის უნდა მოაწონონ თავი.

შარშან, მაგალითად, სპორტსკოლების საკავშირო თამაშების პროგრამით თელავში ორი, კარგა მოზრდილი შეჯიბრება ჩაატარეს. ერთი — ბადმინტონში, ერთიც — მაგიდის ჩოგბურთში. კმაყოფილი დარჩა ყველა, ჩამოსული სტუმრებიცა და ადგილობრივი გულშემატკივრებიც. ჩვენ, დამხვდურები წელში ვიყავით გამართული იმის გამო, რომ რესპუბლიკის რაიონმა ასეთ ავტორიტეტულ შეჯიბრებას უნაკლოდ გაართვა თავი და იმის გამოც, რომ სტუმრები საქართველოდან კმაყოფილი წავიდნენ.

მასპინძლობა რომ შესაშური ვიცით, ამაში ვინ დაგვძრახავს. ოღონდ კარგი მასპინძლობა თვალში ნაცრის შეყრად არ უნდა გადაიქცეს. სტუმრისადმი ყურადღება დარბაისლობის ნიშანია, მაგრამ ამ დროს შენიანიც არ უნდა დაივიწყო, თორემ ისე გამოვა, რომ სახელიც და საქციელიც წყალში ჩაგიყრია.

სპორტი ნამდვილ ენთუზიასტებს, საქმეში უანგაროდ შეყვარებულ ხალხს სანთლით ეძებს. ერთი ასეთი დასაფასებელი ქომაგი სპორტს ამ ცოტა ხნის წინ თელავშიც გამოუჩნდა. ნოდარ იანქოშვილი — სპეციალობით ინჟინერი ერთ ხანს თავისი სპეციალობით — სამშენებლო ორგანიზაციაში მუშაობდა, მაგრამ გაიტაცა კალათბურთმა და როცა თელავში ახალი სპორტდარბაზი აშენდა, სპეციალობა შეიცვალა.

ენთუზიასტმა მალე დაადგა საქმეს თავი. მით უფრო, რომ დარბაზიც კარგი ჰქონდა და სამუშაო პირობებიც. ნოდარ იანქოშვილის დამსახურებაა, რომ შარშანდლიდან მოყოლებული თელავის გუნდი რესპუბლიკურ ჩემპიონატში მოასპარეზეთა სიაში ჩაირიცხა — ენთუზიაზმს მხარდაჭერა სჭირდებოდა.

შარშან იანქოშვილს გუნდი თბილისში საკუთარი ხარჯით ჩამოჰყავდა. გვეგონა, ეს დროებითი გაუგებრობა იყო და შეცდომა დროზე გამოსწორდებოდა. მოვტყუვდით ჩვენც და იანქოშვილიც. სპორტის ადგილობრივმა მესვეურებმა იანქოშვილს წელსაც იგივე „სისტემა" შესთავაზეს. მწვრთნელი რომ კერძო კლუბის მეპატრონე იყოს, ამ მდგომარეობას ასე თუ ისე კიდევ ავხსნიდით. არა და თელავიდან თბილისში მგზავრობა ორი დღით ქალაქს რა ისეთ დიდ ხარჯებს მოუტანდა? მწვრთნელს კი, დასამალი რაა, გაუჭირდა.

გასულ შაბათს დილით იანქოშვილს მოულოდნელად განუცხადეს: აგერ ავტობუსი, ჩაასხი შიგ საწვავი და თბილისისკენ გუნდთან ერთად მოუსვიო. ესეც ახირებული წინადადება გახლდათ: თითქოს იანქოშვილს შინ საწვავით სავსე ცისტერნები ედგას...

სტუმარს რომ პატივსა ვცემთ, ვიმეორებთ, დიდი საქმეა, მაგრამ ზოგჯერ შენიანსაც უნდა გაუწიო ანგარიში, მით უფრო ისეთ დასაფასებელ ადამიანს, როგორიც ნოდარ იანქოშვილია. ერთ დეტალსაც ისე, სხვათა შორის შეგახსენებთ, ამ ცოტა ხნის წინ თელავს სპორტსკოლის საჭიროებისთვის დიდის გაჭირვებით 70 იმპორტული ბურთი გამოუყვეს. სხვაგან ასეთ ძღვენზე ოცნებობენ, აი თელავს კი გამოუყვეს, მაგრამ... უსახსრობის გამო ქალაქმა ვერც ბურთები შეიძინა.

საქმე განა მართლა უსახსრობაშია? ჩვენის აზრით, აქ უფრო ბიუროკრატიზმთან, ინერტულობასთან, ყოვლად დაუშვებელ გულგრილობასა და უყურადღებობასთან გვაქვს საქმე.

თელავის გუნდს რესპუბლიკური ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებზე გამოუცხადებლობისათვის წაგება ჩაეთვალა.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურ კომისიას თავის მორიგ სხდომაზე სხვა საკითხების გარჩევაც მოუხდა, კერძოდ მან განიხილა 16 აპრილს „მართვესა" და სოხუმის გუნდების შეხვედრის დროს მომხდარი ინციდენტი. მატჩის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე „მართვესა" და რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრების მოთამაშემ ლაშა ვაშაკიძემ ფიზიკურად შეურაცხყო სოხუმის გუნდის წევრი გია ჭითავა, რომელიც თავის მხრივ ვალში არ დარჩენილა. ამ უსიამოვნო ინციდენტში მონაწილეობა მიიღო ლაშა ვაშაკიძის ძმამ — თბილისის „დინამოს" ოსტატთა გუნდის მოთამაშემ ირაკლი ვაშაკიძემაც. სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ სამივე დამნაშავე დასაჯა. მიუხედავად იმისა, რომ ლაშა ვაშაკიძე ჭაბუკთა მომავალი საკავშირო თამაშებისთვის ემზადება საქართველოს ნაკრებ გუნდში, რესპუბლიკური ჩემპიონატის დამთავრებამდე დისკვალიფიცირებულია. ხუთი თამაშითაა დისკვალიფიცირებული გია ჭითავაც, ხოლო ირაკლი ვაშაკიძე პირობითად წლის ბოლომდე.

ჩემპიონატის დამთავრებამდე პირობითაა დისკვალიფიცირებული, აგრეთვე ინციდენტის მონაწილე ორთავე გუნდი. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ მწვრთნელებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ კოლექტივებში აღმზრდელობით მუშაობას, რომ მსგავსი შემთხვევები აღარ განმეორდეს.

**კალათბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!**

29 აპრილს თბილისში, კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გაიმართება კალათბურთელთა საკავშირო თასის კალენდარული შეხვედრა თბილისის „დინამოსა" და ვოროშილოვგრადის „სპარტაკს" შორის (ორი დღით ადრე ეს გუნდები ვოროშილოვგრადში ითამაშებენ). დასაწყისი 20 საათზე.

თუ საჭირო გახდა, მესამე მატჩიც თბილისში, იმავე სასახლეში, 30 აპრილს გაიმართება.

# ბერინგის სრუტეზე გადებული „ხიდი“

## ამერიკელი ლინ კოკსი და მისი თანამემამულე ქალები

(დასასრული)

ბერინგის სრუტის გადაცურვაში სწორედ ეს საორგანიზაციო კომიტეტი დაეხმარა.

რა თქმა უნდა, სტუმრებს თბილისის ღირსშესანიშნაობანი აჩვენეს. უოლში ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსსაც ეწვია.

— მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირში შეჯიბრებები კეთილი ნების თამაშების პროგრამით განზრახულია რამდენიმე ქალაქში მოეწყოს, — გვეუბნება საწყლოსნო კომპლექსის დირექტორი ვლადიმერ გოიაშვილი. — როგორც უოლშმა თქვა, მცირე რეკონსტრუქციის შემდეგ ჩვენს კომპლექსში შესაძლებელი იქნება ამ თამაშების პროგრამით სპორტის საწყლოსნო სახეობებში ასპარეზობების ჩატარება. მან თურმე ლინ კოკსსაც ურჩია, კომპლექსი აუცილებლად ნახეო და ისიც გვეწვია.

ბავშვობაში ლინ კოკსი „ჩვეულებრივი“ ცურვით იყო გატაცებული. აუზში ვარჯიშობდა, მაგრამ რაიმე განსაკუთრებულ იმედებს არ იძლეოდა. გაცურავდა — კედელი, გამოცურავდა — კედელი. ეს კოკსს არ მოსწონდა და გადაწყვიტა მარათონელი, უფრო სწორად, ზემარათონელი მოცურავე გამხდარიყო. იმედიც ჰქონდა, რომ მიზანს მიაღწევდა. მას, ალბათ, თანამემამულეთა წარმატებებიც ამხნევებდა — ამერიკელ მოცურავე ქალებს ხომ, კანადელებთან ერთად, დიდი მიღწევები ჰქონდათ. სწორედ ამერიკელი იყო ჰერტრუდა ედერლე, რომელმაც 1926 წელს მსოფლიოში მესამემ, ხოლო ქალთაგან პირველმა ლა მანშის სრუტე გადაცურა.

ჰერტრუდამ 1922-23 წლებში მსოფლიო რეკორდები დაამყარა 100, 200, 400 და 500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. 1924 წელს პარიზის ოლიმპიურ თამაშებში ჩემპიონობაზე ოცნებობდა. 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში მართლაც მოიპოვა ოქროს მედალი და მსოფლიო რეკორდიც დაამყარა, მაგრამ ინდივიდუალურ სახეობებში — 100 და 400 მეტრზე ცურვაში მესამე ადგილზე დარჩა. ამის შემდეგ ბევრი ფიქრობდა, რომ ჰერტრუდას მზე, როგორც მოცურავისა, ჩაესვენაო, მაგრამ 1926 წელს მან ლა მანში გადაცურა, თანაც ისე სწრაფად, რომ თავის სამივე წინამორბედს ბევრად აჯობა — 16 საათსა და 33 წუთში.

მაგრამ, მოდით, დავუბრუნდეთ თბილისის სტუმარ ლინ კოკსს, რომელმაც თორმეტი წლისამ დაიწყო ზემარათონულ ცურვაზე ფიქრი. ფიქრიც დაიწყო და მზადებაც. ხუთი წლის მერე, 1974 წელს, მან კალიფორნიის სანაპიროდან კუნძულ კატალონამდე 42 კილომეტრის გადაცურვა განიზრახა და მიზანსაც მიაღწია. მაშინ იგი ჩვიდმეტი წლისა იყო. თვრამეტი წლისამ ახალ ზელანდიაში კუკის სრუტე გადაცურა. ცურავდა დანიის, ნორვეგიისა და შვეციის ცივ წყლებში. მაგელანის სრუტეც უკან მოიტოვა. ზემარათონელთა კლასიკური მარშრუტი, ლა მანშის სრუტე, ორჯერ გადაცურა — 1972-73 წლებში.

სხვათა შორის, ლა მანში ერთხელ მისმა ძმამ, დევიდმაც გადალახა.

სხვათა შორის, ლინის დები ლაურა და რუტი ამერიკის შეერთებული შტატების წყალბურთელ ქალთა ნაკრები გუნდის. წევრები არიან.

როცა ლინ კოკსზე ვსაუბრობთ, უნდა გავიხსენოთ კიდევ ერთი მისი თანამემამულე ზემარათონელი მოცურავე ქალი, კალიფორნიელი პენი დინი, რომელმაც 1985 წელს ინგლისიდან საფრანგეთის სანაპირომდე მანძილი 7 საათსა და 40 წუთში გადაცურა და მსოფლიოს აბსოლუტური რეკორდი დაამყარა.

საერთოდ, ქალებმა ზემარათონულ ცურვაში აშკარად დაჯაბნეს მამაკაცები. დღეს ყველა მსოფლიო რეკორდი ზემარათონულ ცურვაში, სწორედ ქალებს ეკუთვნით. ლინ კოკსიც რეკორდსმენია. უწინარეს ყოვლისა, მან ცივ წყლებში ცურვით გამოიჩინა თავი. ლინ კოკსმა იცურავა ჰორნის კონცხის სიახლოვესაც. არადა, იქ ძალზე ხშირად იცის ღელვა, ქარიშხალი, არის ხშირი დინებები და აისბერგები.

— ასეთ გაცურვებში ქალები მუდამ გაიმარჯვებენ, — ამბობს ლინ კოკსი, — ფიზიოლოგიური თვალსაზრისით ისინი გაცილებით უკეთ არიან მომზადებული ზემარათონული დისტანციების დაძლევისთვის.

და მაინც, როგორც თავად ლინ კოკსი ამბობს, ყველაზე მეტად ბერინგის გაყინულ წყალში გაუჭირდა, მაგრამ ორ ქვეყანას შორის თავისებური ხიდი — მეგობრობის ხიდი მაინც გადო.

ლინ კოკსი სხვებსაც ასწავლის ცურვას.

მისი კიდევ ერთი დიდი გატაცება ჟურნალისტიკაა. ერთ-ერთ სპორტულ ჟურნალში თანამშრომლობს და ფიქრობს ბერინგის სრუტის გადაცურვის შესახებ წიგნიც დაწეროს. ამიტომ ამ სენსაციურ გადაცურვაზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით. სჯობს დაველოდოთ მის წიგნს, რომელიც, იმედია, რუსულადაც ითარგმნება.

მანამდე კი ლინ კოკსი მამაკაცებს კიდევ გააოცებს. ეს, ეტყობა, სადმე ჩვენი ქვეყნის წყლებში მოხდება. ყოველ შემთხვევაში, ლინ კოკსის სიტყვებში ამისი სურვილი იგრძნობა.

**ავთანდილ გურასაშვილი.**

# ტრადიციული ტურნირის ლაურეატები

**თბილისის** განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ჭიდაობის სპეციალიზებული სკოლის (დირექტორი ა. გიორგობიანი) 11-კაციანმა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა კლასიკური სტილის ჭაბუკ მოჭიდავეთა ტურნირში, რომელიც ყოველ წელს იმართება გომელში (პირველ ადგილზე მასპინძლები გავიდნენ). შეჯიბრებაში სულ 47 გუნდი მონაწილეობდა და ასეთი კონკურენციის პირობებში ჩვენი ნორჩი ფალავნების შედეგი ურიგო არ უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ მათ პირად პირველობაში ორი გამარჯვებაც მოიპოვეს: თენგიზ რაზგოიანი უძლიერესი იყო 50 კგ წონით კატეგორიაში, ხოლო ფირან კაპანაძე — 81 კგ წონაში. პრიზიორებს შორის მოხვდნენ იოსებ ივანიშვილი (88 კგ) რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა, აგრეთვე გიორგი ხმიადაშვილი (68) და ემილ თამოევი (58) — ისინი მესამე ადგილებზე გავიდნენ. ყველა სპორტსმენი ვაზგენ ფეხლევანიანის მოწაფეა, რომლის ხელმძღვანელობითაც ასპარეზობდა ჩვენი გუნდი გომელში.

საქართველოს პირველობა

## გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი №1

მდგომარეობა 21 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი“ | 5 | 5 | 0 | 0 | 10-3 | 10 |
| „მადნეული“ | 5 | 4 | 1 | 0 | 11-3 | 9 |
| „სულორი“ | 5 | 3 | 2 | 0 | 6-2 | 8 |
| „ამირანი“ | 5 | 3 | 1 | 1 | 9-3 | 7 |
| „დინამო“ | 5 | 2 | 3 | 0 | 9-3 | 7 |
| „შადრევანი“ | 5 | 2 | 2 | 1 | 4-3 | 6 |
| „დურუჯი“ | 5 | 1 | 4 | 0 | 8-7 | 6 |
| „სამეგრელო“ | 5 | 2 | 1 | 2 | 5-6 | 5 |
| „ბახტრიონი“ | 5 | 2 | 1 | 2 | 4-5 | 5 |
| ფიზკ. ინსტ. თბ. | 5 | 1 | 3 | 1 | 6-5 | 5 |
| „მეტალურგი“ | 5 | 2 | 0 | 3 | 5-5 | 4 |
| „მეშახტე“ | 5 | 2 | 0 | 3 | 3-5 | 4 |
| „დინამო“ | 5 | 2 | 0 | 3 | 3-7 | 4 |
| „მაღაროელი“ | 5 | 1 | 2 | 2 | 6-7 | 4 |
| „სალხინო“ | 5 | 1 | 2 | 2 | 8-10 | 4 |
| „ეგრისი“ | 5 | 1 | 2 | 2 | 5-7 | 4 |
| „ქართლი“ | 5 | 1 | 2 | 2 | 6-10 | 4 |
| „საპოვნელა“ | 5 | 1 | 1 | 3 | 5-6 | 3 |
| „არმაზი“ | 5 | 1 | 1 | 3 | 6-8 | 3 |
| „ივერია“ | 5 | 1 | 1 | 3 | 4-9 | 3 |
| „სქური“ | 5 | 0 | 3 | 2 | 3-7 | 3 |
| „სპარტაკი“ | 5 | 0 | 2 | 3 | 4-9 | 2 |

II ჯგუფი

აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კახეთი“ | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 5 |
| „არაგვი“ | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 5 |
| „მუხრანი-სსი“ | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 5 |
| „ალგეთი“ | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 5 |
| „მეტალისტი“ | 3 | 2 | 0 | 1 | 9-3 | 4 |
| „თორი“ | 3 | 2 | 0 | 1 | 2-1 | 4 |
| „აბული“ | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 4 |
| „მესხეთი“ | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 3 |
| „უნივერსიტეტი“ | 3 | 1 | 1 | 1 | 4-6 | 3 |
| „მეფრინველე“ | 3 | 1 | 1 | 1 | 3-5 | 3 |
| „სპი-დინ.-3“ (თბ.) | 3 | 1 | 0 | 2 | 5-5 | 2 |
| ახალ. საფეხბურთო სკოლა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 2 |
| „სამგორი“ | 3 | 1 | 0 | 2 | 6-7 | 2 |
| „ჰერეთი“ | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 2 |
| „ფოსტამტი“ | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 2 |
| „იმედი“ | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| „თრიალეთი“ | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |
| „ვარძია“ | 3 | 0 | 1 | 2 | 2-7 | 1 |

II ჯგუფი

დასავლეთი ქვეჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი-2“ | 3 | 3 | 0 | 0 | 9-0 | 6 |
| „საირმე“ | 3 | 2 | 1 | 0 | 7-1 | 5 |
| „ჩიბათი“ | 3 | 2 | 1 | 0 | 8-3 | 5 |
| „მზიური“ | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 5 |
| „ნარინჯი“ | 3 | 2 | 0 | 1 | 4-1 | 4 |
| „ბახმარო“ | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 4 |
| „დევბზუ“ | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 4 |
| „იმერეთი“ | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 4 |
| „ჩხერიმელა“ | 3 | 1 | 1 | 1 | 3-5 | 3 |
| პოლ. ინს. (ქუთაისი) | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 2 |
| „მამისონი“ | 3 | 0 | 2 | 1 | 5-7 | 2 |
| „დარჩელი“ | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| „ჩიხურა“ | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |
| ზრის დამამუშ. კომბინატი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-8 | 0 |
| „ოდიში“ | 3 | 0 | 0 | 3 | 0-7 | 0 |
| „ქიმიკოსი“ | 3 | 0 | 0 | 3 | 0-10 | 0 |

# როტერდამში, რეკორდისთვის

**როტერდამის** ცნობილი მარათონის წლევანდელი გარბენი ღირსსახსოვარი მოვლენით აღინიშნა, 31 წლის ეთიოპიელმა მორბენალმა ბელაინე დინსამომ ამ ურთულეს დისტანციაზე პირველად გადალახა ორი საათისა და 7 წუთის ზღვარი და 2:06.50 აჩვენა. მან მთელი 22 წამით გააუმჯობესა ძველი მიღწევა, რომელიც შესანიშნავ პორტუგალიელ სტაიერს კარლუშ ლოპეშს ეკუთვნოდა და იმავე ტრასაზე იყო დამყარებული (1985 წ.), საერთოდ, როტერდამის მარათონის მანძილი რელიეფის სიმარტივისა და ხელსაყრელი მდებარეობის გამო (თითქმის ზღვის დონეზეა) ბოლო წლებში რეკორდების სამჭედლოდ იქცა. სწორედ ამ ტრასაზე აჩვენა ავსტრალიელმა დერეკ კლეიტონმა თავისი ფანტასტიკური (იმ დროისთვის) რეკორდი 1969 წელს — 2:08.33, რომელიც 12 წელს იყო ხელშეუხებელი, ვიდრე სალაზარმა (აშშ) არ დაამხო ის.

ნიჭიერ აფრიკელ მორბენლებს არც ადრე აკლდათ სახელი და დიდება, მაგრამ ბოლო ხანს მათ პირდაპირ „მონოპოლია“ გამოაცხადეს სტაიერულ დისტანციებზე. როტერდამის მარათონში დინსამოს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია მსოფლიო თასის ორგზის მფლობელმა ჯიბუტელმა აჰმედ სალეჰმა. ეთიოპიელმა მხოლოდ ბოლო კილომეტრზე შეძლო გაესწრო მრისხანე მეტოქისთვის. სხვათა შორის, ძველი მიღწევა სალეჰმაც გააუმჯობესა — 2:07.0. როგორც პირველი, ისე მეორე, მესამე და მეხუთე ადგილები ეთიოპიელებმა ვოდაჯო ბულტიმ (2:08.44), აბებე მეკონენმა (2:09.33) და კებედე ბალჩამ (2:12.03) დაიკავეს.

ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა კონკურენცია ტრადიციული მარათონების ორგანიზატორთა შორის, ყველა ცდილობს რაც შეიძლება ბევრი სახელგანთქმული მორბენალი მიიწვიოს შეჯიბრებაზე. ხოლო მონაწილეთა რაოდენობით თავის მოწონებამ უკვე კარგა ხანია დაკარგა აზრი: მსურველი ყოველთვის იმაზე გაცილებით მეტია, ვიდრე ტრასას შეუძლია დაიტიოს და ბევრ მორბენალს (ყველაზე სუსტებს) ორგანიზატორები უარით ისტუმრებენ.

22469 ადამიანი მონაწილეობდა ცნობილ ლონდონის მარათონში, რომელიც როტერდამის გარბენის პარალელურად ჩატარდა. შედეგების მიხედვით პირველმა დაჩაგრა მეორე. ლონდონში გამარჯვებულმა, დანიელმა ჰარის იორგენსონმა მხოლოდ 2:10.10 აჩვენა. მეორე ადგილზე გავიდა ტრასის მასპინძელი ფოსტერი — 2:10.52, მესამეზე — იაპონელი კუდო — 2:10.59.

ქალთა გარბენში თავისივე მსოფლიო მიღწევის (2:21.06) გაუმჯობესება სცადა ცნობილმა ნორვეგიელმა მორბენალმა ინგრიდ ქრისტიანსენმა, თუმცა ამაოდ დაშვრა. სამაგიეროდ, მეოთხედ მოიპოვა ლონდონის მარათონის გამარჯვებულის ტიტული. ისიც უნდა ითქვას, რომ ლონდონში არახელსაყრელი, ქარიანი ამინდი იდგა და ქრისტიანსენმა დისტანციაზე მხოლოდ 2:25.41 აჩვენა.

გასულ კვირას გაიმართა კიდევ ერთი მარათონი — სახელგანთქმული ბოსტონის გარბენი, აშშ-ის ამ ქალაქშიც აშკარა იყო „შავი კონტინენტის“ წარმომადგენელთა უპირატესობა. დრამატულ ბრძოლაში ფინიშის ხაზი ყველაზე ადრე გადაკვეთა კენიელმა იბრაჰიმ ჰუსეინმა, რომელმაც სულ ერთი წამით (!) აჯობა ტანზანიელ ჯუმა იკანგაას — 2:08.43. ეს გახლდათ აფრიკელი სპორტსმენის პირველი გამარჯვება ბოსტონის მარათონის 92-წლიან ისტორიაში. ქალთა შორის პირველი იყო მსოფლიო ჩემპიონი, პორტუგალიელი როზა მოტა — 2:24.30. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრება თავსხმა წვიმაში მიმდინარეობდა.

## კალეიდოსკოპი

### ზახარევიჩი თუ ბოტევი?

1988 წლის სეზონის პირველი ოფიციალური მსოფლიო რეკორდი ძალოსნობაში ბულგარელმა სტეფან ბოტევმა (110 კილოგრამი) დაამყარა — 250 კილოგრამი აჰკრა. ეს ფანტასტიკური შედეგი, რომელიც მთელი ორი კილოგრამით აღემატება იური ზახარევიჩის ძველ მსოფლიო რეკორდს, ბულგარელმა აჩვენა ბუდაპეშტში „პანონიის თასის“ გათამაშებაზე.

მწვრთნელ პეტკო ნიკოლაევის მოწაფემ ჯერ კიდევ შარშან გამოიჩინა თავი რეიმსში, როცა 242,5 კილოგრამიანი შტანგა აჰკრა. მან, მართალია, ამ მოძრაობაში პირველი ადგილი დაიკავა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა ზახარევიჩს, რომელსაც ორჭიდის ჯამში 440 კილოგრამი ჰქონდა, 10 კილოგრამით მეტი ვიდრე ბოტევს. აი, სეულში კი სპეციალისტების აზრით ბოტევი გაცილებით უფრო მძაფრ კონკურენციას გაუწევს ზახარევიჩს.

### მესამე კანდიდატი

მაროკოს სპორტის მინისტრის განცხადებით რაბათში სულ მალე 9 ახალი საფეხბურთო სტადიონი აშენდება, რომლებზეც ამ ქვეყნის ფედერაციას განზრახული აქვს 1994 წლის მსოფლიო პირველობის მატჩების ჩატარება. ამას წინათ, კასაბლანკაში აფრიკის თასის ფინალური მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მინისტრმა განაცხადა, რომ ახალი სტადიონები საშუალოდ 40 ათას მაყურებელზე იქნება ნავარაუდები.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება თანამედროვე, კომფორტაბელურ სასტუმროთა ქსელი და საბოლოოდ მოგვარდება სატრანსპორტო სისტემა და კავშირგაბმულობის სამსახური.

მაგრამ მისცემენ თუ არა მაროკოს მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლებას, კაცმა არ იცის, ეს გაირკვევა წელს, 4 ივლისს, როცა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია ბოლოს და ბოლოს უპირატესობას სამი კანდიდატიდან რომელიმე ერთს მიანიჭებს. მაროკოს, როგორც ცნობილია, საკმაოდ გავლენიანი კონკურენტები ჰყავს აშშ-სა და ბრაზილიის სახით.

### გულშემატკივარი... დანით ხელში

ბრაზილიურ ფეხბურთში გულშემატკივართა ხულიგნობა იშვიათი არაა, აქაური გუნდების ქომაგები ხშირად უწესობის ყოველგვარ ნორმებს აპარტყებენ და მათი ფანატიზმი ზოგჯერ ბანდიტობამდეც კი მიდის.

ცნობილი ბრაზილიური კლუბის „ბოტაფოგოს“ ქომაგები, ეტყობა, უკმაყოფილონი არიან თავისი გუნდის თამაშით, და ერთ-ერთი საწვრთნელი თამაშის შემდეგ სასტიკად გაუსწორდნენ ფეხბურთელებს. სტადიონზე წარმოუდგენელი ჩხუბი ატყდა, ვიღაც გულშემატკივარმა ამ არეულობაში დაჭრა „ბოტაფოგოს“ მცველი რინალდო.

რიო-დე-ჟანეიროს პოლიციის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ „ბოტაფოგოს“ გულშემატკივრები ჯგუფად მოვიდნენ ვარჯიშზე, მეცადინეობის შემდეგ თავს დაესხნენ ფეხბურთელებს და როცა რინალდომ მათი დაშოშმინება სცადა, ერთ-ერთმა მათგანმა დანით ჭრილობა მიაყენა ფეხბურთელს, რის შემდეგ მიიმალა.

რინალდო საავადმყოფოში მოათავსეს. მისი სიტყვებით, გულშემატკივარს მისთვის სასიკვდილო ჭრილობის მიყენება უნდოდა, მაგრამ მან ხელის შეშველება მოასწრო და ჭრილობაც შედარებით იოლი აღმოჩნდა.

რიო-დე-ჟანეიროს ჩემპიონატის ბოლო ორ შეხვედრაში სხვა ინციდენტებიც მოხდა. კერძოდ, პირველ შემთხვევაში თვითნაკეთი ბომბით საკმაოდ მძიმედ დაჭრეს ერთ-ერთი გუნდის სათადარიგო მეკარე, ხოლო მეორეში — თავი გაუხეთქეს ბრაზილიის ნაკრების ყოფილ მოთამაშეს ედერს.

კალეიდოსკოპი

# „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ მე-16 ტირაჟების შედეგები, რომლებიც 17 აპრილს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** გაიყიდა 1.702.301 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (47 ბარათი) მოგება 1149 მანეთია, ოთხისთვის (2538) — 30, სამისთვის (41728) — 3.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** გაიყიდა 17.754.521 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (32 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (6646) — 146, სამისთვის (195 875) — 7.

მე-16 ტირაჟების მოგებათა განაღდება 2 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

# სპორტულ გაზეთზე

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. **24 აპრილი.** ოქროყანის სპორტული ბაზა. **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი).**

დასაწყისი 14 საათზე.

საქართველოს სპორტსახკომი, ტანვარჯიშის რესპუბლიკური ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებენ სსრ კავშირის სპორტის ოსტატებს ვალიკო და თემურ ასათიანებს მამის

**კონსტანტინე სიმონის ძე ასათიანის**

გარდაცვალების გამო.

სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო, ვეტერანი ფეხბურთელები, სპორტკომბინატ „დინამოს“ თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი

**ივანე მიხეილის ძე კინწურაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ინდექსი 66485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 05306